ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 553

21 ნოემბერი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +"-ისთვის (ს/ნ. 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +"-ისთვის (ს/ნ. 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 ნოემბრის №23.1730.1902 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +"-ისთვის (ს/ნ. 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8100 (რვა ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე